თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-15507-24
22 / 05 / 2024

შპს „ეკო ინვესტი“-ს დირექტორს
ნოდარი გიორგაძეს

ბატონო ნოდარ,

თქვენი მიმდინარე წლის 11 მარტის №02-13-15507-24 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, უცნობ გმირთა ქუჩა №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ:№01.12.21.001.210) გაზსადენის მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას და დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით გაცნობებთ, საკადასტრო ერთეულებზე გადის შპს ,,თბილისი ენერჯი“-ს კუთვნილი მიწისქვეშა **D110 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენი. კომპანია შეითანხმებს დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს თქვენი მხრიდან შემდეგი მოთხოვნების შესრულების შემდგომ:

- მანძილი მიწისქვეშა **D=110 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე უნდა განისაზღვროს არანაკლებ **4 (ოთხი)** მეტრით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესების შესაბამისად;
- აუცილებელია ნაკვეთზე არსებული მიწისქვეშა **D=110 მმ-იანი** საშუალო წნევის მილსადენის საექსპლუატაციო ზონა დაიტვირთოს სერვიტუტით შპს „თბილისი ენერჯი“-ს სასარგებლოდ გაზსადენის ღერძიდან ორივე მხარეს **2 (ორი)** მეტრის მანძილზე, რაზედაც უნდა მოგვმართოთ შესაბამისი განაცხადით, რის შემდგომ ჩვენს წარმომადგენელთან შეთანხმებით გაფორმდება ხელშეკრულება საჯარო რეესტრში;

დამატებით გაცნობებთ, რომ სერვიტუტთან დაკავშირებული პროცედურების გავლის შემდგომ უნდა წარმოადგინოთ ასაშენებელი ობიექტის ელექტრონული გენგეგმა DWG-ფაილის სახით UTM-WGS-1984 წლის პროექციაში, ასევე დეტალური PDF-ვერსია 1:500 მასშტაბით, სადაც დატანილი იქნება პირობითი აღნიშვნები, შემსრულებლის ხელმოწერა და ბეჭედი, კომპანიის გაზსადენი, უსაფრთხოების ზონების დაცვის გათვალისწინებით (მათ შორის სერვიტუტის მონიშვნით).

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწისადენის განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი;

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:2,500
N
W
E
S
01.12.21.001.210
D=110pe
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
4 მ შეზღუდვის ზონა
მიწის ნაკვეთი
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY



შეთანხმებულია
შპს თბილისის ენერგი
TBILISI ENERGY LTD
დაპროექტების
საწარმოსთვის №02-13-144438-25
18.06.2025წ.

პასუხისმგებელი მენეჯერი																
სპეციალისტი																
სპეციალისტი																
მენეჯერი																
პროექტირების მენეჯერი																
ხელმძღვანელი																
მთავარი პროექტი																
დოკუმენტის დასახელება																